ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 133

ქალაქი ქუთაისი 26 დეკემბერი 2018 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის“ რეორგანიზაციის განხორციელებისა და იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებთან ერთად, ერთობლივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიასათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 21-ე მუხლის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 106[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის, მერს გიორგი ჭიღვარიას განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო №412722914) რეორგანიზაცია და იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებთან ერთად, დააფუძნოს ერთობლივი არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი, „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია